

საქართველოს კანონი

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24, 02.07.2007, მუხ. 219) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

ამ კანონით განსაზღვრული არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულებას უზრუნველყოფენ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროები (შემდგომში – პრობაციის ბიუროები).

მუხლი 4. პრობაციის ეროვნული სააგენტო

1. პრობაციის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი (შემდგომში – სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი).

2. პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი.

3. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან შეთანხმებით.

4. პრობაციის ეროვნული სააგენტოს საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან შეთანხმებით.

5. პრობაციის ეროვნული სააგენტო ფინანსდება სახელწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან.

6. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.“

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„2. პრობაციის ბიუროს ხელმძღვანელობს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი (შემდგომში – პრობაციის ბიუროს უფროსი).“

3. მე-6 და მე-7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 6. პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმის, საჯაროობის, სააგენტოს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 7. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნები

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებია: სასჯელის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია).“.

4. მე-2 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II

პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სამართლებრივი სტატუსი, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები

მუხლი 8. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სამართლებრივი სტატუსი

1. სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისას პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი ხელისუფლების წარმომადგენელია და მისი კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის უკანონო მოქმედებით გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს ენიჭება სახელმწიფო სპეციალური წოდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. პრობაციის ოფიცერს სახელმწიფოს ხარჯზე შეიძლება მიეცეს დადგენილი ნიმუშის ფორმის სამსახურებრივი ტანსაცმელი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდების ამსახველი ნიშნები.

4. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს უფლება აქვს შეინახოს და ატაროს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე კანონმდებლობით განსაზღვრული თავდაცვის სხვა სპეციალური საშუალებები, რომელთა ნუსხას, შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს კანონმდებლობა“.

5. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მსჯავრდებული, მისი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალდებულია დაემორჩილოს სასჯელის მოხდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და პირობებს, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნები, არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია პრობაციის ბიუროს უფროსის ნებართვის გარეშე.“.

6. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. დადგენილი რეჟიმის დარღვევა მსჯავრდებულის მიერ

1. პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე განთავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას, ასევე შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებულს შესაძლებელია შეუმსუბუქდეს დადგენილი რეჟიმი, რაც გულისხმობს პრობაციის ბიუროში თვეში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას.

3. მსჯავრდებულის მიერ რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს, რომელიც უშუალოდ გადაეცემა მსჯავრდებულს, ან ეგზავნება ფოსტით (ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერი).

4. მსჯავრდებული უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს იგი პრობაციის ბიუროს უფროსთან, რომელიც საკითხს იხილავს და წყვეტს 15 სამუშაო დღის ვადაში.

5. მსჯავრდებული ვალდებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გაცნობიდან 30 დღის ვადაში გადაიხადოს მასზე დაკისრებული ჯარიმა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილი რეჟიმის დარღვევა მსჯავრდებულის მიერ გამოიწვევს მის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

7. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს მსჯავრდებულის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილი რეჟიმის მესამედ დარღვევა მსჯავრდებულის მიერ, გამოიწვევს მის დაჯარიმებას 300 ლარის

ოდენობით. აღნიშნული ქმედება ასევე არის პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის საფუძველი.

9. ჯარიმის გადახდის ვალდებულებასთან ერთად მსჯავრდებულს შესაძლებელია შეეცვალოს და დაუმიძღვოს დადგენილი რეჟიმი.“.

7. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება და დადგენილი რეჟიმის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის წესი

1. მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი იმავდროულად წარმოადგენს საჯარიმო ქვითარს, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნების შესახებ; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადგილი, დრო და არსი; ამ კანონის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ახსნა-განმარტება; გასაჩივრების წესი და ვადა; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

4. ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულება ხდება ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რის თაობაზე დადგენილებას გამოსცემს და ჯარიმის გადახდის იძულებით აღსასრულებლად მიქცევას ახორციელებს შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი.

5. ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულებას პრობაციის ბიუროს უფროსის დადგენილების საფუძველზე ახორციელებს აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

8. მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე მსჯავრდებულის წერილობით განცხადებას პრობაციის ოფიცრის შუამდგომლობით განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ბიუროს უფროსი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით.

2. პრობაციის ბიუროს უფროსის გადაწყვეტილება მსჯავრდებულს ეცნობება წერილობით, პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.“

9. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით განცხადებას პრობაციის ბიუროს უფროსი განიხილავს დაჩქარებული წესით 2 სამუშაო დღის ვადაში, მსჯავრდებულის მიერ დაჩქარებული მომსახურების

საფასურის – 200 ლარის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვის საფუძველზე.“

10. მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. მსჯავრდებულს საზღვარგარეთ გამგზავრების შემთხვევაში ეკისრება საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასურის გადახდა შემდეგი ოდენობით:

- ა) ერთ თვემდე ვადით გამგზავრებისას – 600 ლარი;
- ბ) ერთიდან სამ თვემდე ვადით გამგზავრებისას - 1200 ლარი
- გ) სამიდან ექვს თვემდე ვადით გამგზავრებისას – 2000 ლარი;
- დ) ექვსიდან ცხრა თვემდე ვადით გამგზავრებისას – 2700 ლარი.
- ე) ცხრიდან თორმეტ თვემდე ვადით გამგზავრებისას – 3400 ლარი.

4. მსჯავრდებულის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მის მიერ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე საფასურის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისთანავე, პრობაციის ბიუროს უფროსი გასცემს საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვას.“

11. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ამ მუხლით დადგენილი წესით მსჯავრდებულის საზღვარგარეთ ყოფნის დროს შესაძლებელია გაგრძელდეს საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის ვადა, თუ პრობაციის ბიუროში წარდგენილი იქნება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.“

12. მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

13. კანონს მე-14 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14¹ მუხლი:

„მუხლი 14¹. მსჯავრდებულის პრობაციის ბიუროში გამოცხადებაზე შეღავათის დაწესების პირობები

1. ამ მუხლში გათვალისწინებული პირობების არსებობისას მსჯავრდებულს შეიძლება დაუწესდეს პრობაციის ბიუროში გამოცხადების შეღავათი, რაც გულისხმობს მსჯავრდებულის გათავისუფლებას პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვალდებულებისგან და მისი ყოფაქცევის კონტროლს პრობაციის ოფიცრის გამოცხადებით მსჯავრდებულის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, დადგენილი რეჟიმის შესაბამისად.

2. პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის გამოცხადებაზე შეღავათის დაწესების თაობაზე განცხადებას იხილავს პრობაციის ბიუროს უფროსი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით.

3. პრობაციის ბიუროს უფროსის გადაწყვეტილება მსჯავრდებულს ეცნობება წერილობით, პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

4. პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის გამოცხადებაზე შეღავათის დაწესების საფასური შეადგენს თვეში 250 ლარს, რომელიც ირიცხება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე; შესაძლებელია მსჯავრდებულის მიერ რამდენიმე თვის საფასურის წინასწარ გადახდა.“

14. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასურისა და ჯარიმის გადახდის წესი და პირობები

1. მსჯავრდებული საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასურსა და ჯარიმას იხდის კანონით დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში.

2. არასრულწლოვნები, აგრეთვე ის მსჯავრდებულები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მანვენებელი ნაკლებია საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე, გათავისუფლებული არიან ამ კანონის მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილი საფასურისა და ჯარიმის გადახდისაგან.

3. საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასური ირიცხება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე.

4. საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საქართველოს საზღვრის გადაკვეთის, ან გადაკვეთის მცდელობის შემთხვევაში, სასაზღვრო-გამტარ პუნქტში სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვის სახედამხედველად გამოყოფილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელი, ვალდებულია დააკავოს მსჯავრდებული და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

5. პრობაციის ეროვნული სააგენტო ვალდებულია შესაბამის სასაზღვრო-გამტარ პუნქტში დაუყოვნებლივ მიაგლინოს უახლოესი პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი თანამშრომელი და მიაწოდოს მას სათანადო ინფორმაცია. პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შესაბამის სასაზღვრო-გამტარ პუნქტში, შეადგინოს და გადასცეს მსჯავრდებულს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმი, რომლის საფუძველზე მსჯავრდებულს ეკისრება ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი ჯარიმის გადახდა.

6. მსჯავრდებულის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა გამოიწვევს მსჯავრდებულის დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე ოდენობით ან/და ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.“.

15. მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

16. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

17. მე-18 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აღსასრულებელი სამართლებრივი აქტი პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ეგზავნება დაუყოვნებლივ, ამ აქტის ძალაში შესვლისთანავე.“;

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პრობაციის ბიუროს უფროსი სასამართლოს მიერ მიღებული აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის აღსრულების დაწყებისა და დამთავრების შესახებ წერილობით 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს აქტის მიმღებ სასამართლოს.

4. თუ მსჯავრდებული არ ცხოვრობს სასამართლოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტში მითითებულ მისამართზე, ან ცხოვრობს, მაგრამ თავს არიდებს პრობაციის ბიუროში გამოცხადებას, პრობაციის ბიუროს უფროსი სამართლებრივ აქტს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, მსჯავრდებულის ძებნის გამოსაცხადებლად გადაუგზავნის აქტის მიმღებ სასამართლოს.“.

28. მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მსჯავრდებული ვალდებულია აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 15 დღისა გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამართლებრივი აქტის აღსრულების დაწყების, აღსასრულებელ სამართლებრივ აქტთან მიმართებით თავის უფლება-მოვალეობათა გაცნობისა და პრობაციის ბიუროს მიერ მის მიმართ შესაბამისი კონტროლის განხორციელების მიზნით. პრობაციის ბიუროში გამოცხადებულ მსჯავრდებულს პრობაციის ოფიცერი აცნობს უფლება-მოვალეობებს და მათი შეუსრულებლობის შესაძლო შედეგებს, რის შესახებაც ადგენს სათანადო ოქმს.“

19. მე-20 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ცნობები მსჯავრდებულის (იურიდიული პირის) მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;“

20. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფროსი წარდგინებით მიმართავს სასამართლოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით.“

21. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. სამართლებრივი აქტების აღსრულებაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა და ინფორმაცია სამართლებრივი აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ

1. ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულებაზე კანონით დადგენილ სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

2. პრობაციის ბიუროს უფროსი პრობაციის ეროვნულ სააგენტოს პერიოდულად ან მოთხოვნისამებრ წარუდგენს სტატისტიკურ ინფორმაციას, ანგარიშს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.“

22. მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება აგრეთვე განახორციელოს სოციალურმა დაწესებულებამ, სოციალურმა მუშაკმა ან შესაბამისი განათლების მქონე ცალკეულმა პირმა.“

23. 43-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

24. 44-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ“ ქვეპუნქტი:

„ბ) ამ კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, თუ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა;“.

25. 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

26. 45-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2-მე-7 პუნქტები:

„2. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური.

3. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა, და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის უფლებამონაცვლე.

4. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის წარმოებაში არსებული საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

5. საქართველოს მთავრობამ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებით უზრუნველყოს:

ა) სათანადო ცვლილებების განხორციელება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულებაში;

ბ) საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის;

გ) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის.

6 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცება;

ბ) პრობაციის ბიუროს ოფიცრის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკის დამტკიცება;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

7. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ამ კანონის მიღებისთანავე უზრუნველყოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ლიკვიდაციისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი